სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

22 თებერვალი, პარასკევი, 1991 წ.
№ 32 (19 445) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ორივე ჩემპიონია!

უაზანი. (დეპეშით). აქ დამთავრებულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 12 და 14 წლამდე ასაკის გოგოებს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვეს ჩვენმა თანამემამულეებმა, ქუთაისელმა მოკადრაკეებმა: სოფიკო ტყეშელაშვილმა (12 წლამდე) და ნათია აფხაიძემ (14 წლამდე).

ალექსანდრე რაზოვსკი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ტურნირები და შედეგები

ფუალბურთი: ჩელიაბინსკში დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა თბილისის „ივერიამ“ სუსტად ჩაატარა შეხვედრები და დამარცხდა ქვეყნის ჩემპიონთან ზლატოუსტის „ურალოჩკათან“ — 2:10, ჯაშულის „ნიმეკთან“ — 5:7 და ტაშკენტის „ურტაკთან“ — 6:7. სასტარტო ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ზლატოუსტის „ურალოჩკამ“.

კალათბურთი. გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრების შედეგებს (ვაკთა გუნდების მონაწილეობით): ნკი (ნიკოლოევი) — ცსკა 74:98 (44:50), „ბუდეველნიკი“ (კიევი) — ასკ (კიევი) 95:88 (50:40), „სტროიტელი“ (ირკუტსკი) — „სტროიტელი“ (მოსკოვის ოლქი) 110:95 (51:51).

კალათბურთი

გუშინწინ გაიმართა ნბა-ს პროფესიულ კალათბურთელთა ლიგის მორიგი ხუთი შეხვედრა:

„კლივლენდ კავალიერსი“ — „საკრამენტო კინგსი“ 118:104

„დეტროიტ პისტონსი“ — „ატლანტა ჰოუკსი“ 97:89

„ინდიანა პეისერსი“ — „ორლანდო მეჯიქსი“ 122:120

„გოლდენ სტეიტ უორიორსი“ — „მინესოტა ტიმბერვუდი“ 108:105
„ფენიქს სანი“ — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ 113:93

გათამაშების ცხრილები
დასავლეთის კონფერენცია
ატლანტის დივიზიონი

	გ.	წ.	%
„ბოსტონი“	39	13	750
„ფილადელფია“	27	24	529
„ნიუ-იორკი“	22	30	423
„ვაშინგტონი“	22	31	415
„ნიუ-ჯერსი“	17	35	327
„მაიამი“	15	36	294

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	37	14	725
„დეტროიტი“	37	17	685
„მილუოკი“	33	20	623
„ატლანტა“	28	24	538
„ინდიანა“	23	28	451
„კლივლენდი“	18	33	340
„შარლოტა“	15	36	294

აღმოსავლეთის კონფერენცია
შუა-დასავლეთის დივიზიონი

„სან ანტონიო“	33	16	673
„იუტა-ჯაზი“	34	17	667
„ჰიუსტონი“	29	23	558
„დალასი“	21	29	429
„მინესოტა“	17	34	333
„ორლანდო“	15	36	294
„დენვერი“	14	33	280

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი“	42	10	808
„ლოს-ანჯელეს ლეიკ.“	38	13	745
„ფენიქსი“	34	17	667
„გოლდენ სტეიტი“	29	22	569
„სიეტლი“	23	27	460
„ლოს-ანჯელეს კლიპ.“	16	35	314
„საკრამენტო“	15	35	300

(ბაკუთარი ინფორმაცია)

ფეხბურთი

გაიმართა ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორი მატჩი.

პარიზი. საფრანგეთის ნაკრებმა (I ჯგუფი) „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ესპანეთის გუნდს უმასპინძლა და დაამარცხა იგი — 3:1 (1:1). ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა ესპანელმა ბაკერომ, მაგრამ ფრანგებს სულ ოთხიოდე წუთი დასჭირდათ საპასუხო გოლის გასატანად (სოზე). შეორე ნახევარი მასპინძლების სრული უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც კიდევ ორი გოლი გაიტანეს მეტოქის კარში.

ამ ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: საფრანგეთი — 8 ქულა (ოთხი თამაშიდან), ესპანეთი და ჩეხოსლოვაკია — 4-4 (ჩეხოსლოვაკიელებს ერთი შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული), ისლანდია — 2 და ალბანეთი — 0.

ლისაბონი. მეექვსე შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიის ნაკრებმა აჯობა მალტის ფეხბურთელებს — 5:0 (3:0). გოლები გაიტანეს: აგუაშმა (მე-5 წუთზე), ლეალმა (33), პანეირამ (40, პენალტით), შერიმ (48, საკუთარ კარში) და კიდეტემ (81).

სატურნირო მდგომარეობა: პორტუგალია — 7 ქულა (5 მატჩიდან), ჰოლანდია — 4 (3), საბერძნეთი — 4 (3), ფინეთი — 2 (2), მალტა — 1 (5).

ფუალბურთი ● უმაღლესი ლიგა

ოთხთვიანი შესვენების შემდეგ

ფუალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი ოთხი თვით იყო შეწყვეტილი. ასეთი „დიდი შესვენება“ დასჭირდა მსოფლიოს VI ჩემპიონატისათვის სამზადისს, რომელსაც საბოლოო ჯამში საბჭოთა ნაკრებისათვის სახეირო არაფერი მოუტანია. სამაგიეროდ, ჩვენ თითქმის გადაგვავიწყდა ამ ტურნირის არსებობა. ახლა, მდგომარეობის აღდგენის მიზნით, გთავაზობთ გათამაშების ცხრილს (შეგახსენებთ, რომ გუნდებს ჩატარებული აქვთ 11-11 შეხვედრა).

ცსკ სსფ — 21 ქულა
„დინამო“ (მოსკოვი) — 20 „
უნივერსიტეტი (მოსკ.) — 15 „
„დინამო“ (ლვოვი) —15 „
კწფ (ხევასტოპოლი) — 11 „
„მოსკვიჩი“ —10 „
„დინამო“ (ალმა-ათა) — 8„
„დინამო“ (თბილისი) — 8 „
„ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 8 „
„ტორპედო“ (მოსკოვი) — 8 „
„დინამო“ (კიევი) — 7 „
„სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — 0 „

გუშინწინ ალმა-ათასა და ლვოვში დაიწყო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები:

ალმა-ათა. თბილისის დინამოელები სასტარტო შეხვედრაში ვოლგოგრადის სპარტაკელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ და შეუპოვარ წინააღმდეგობასაც წააწყდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეტოქეებმა სამი პერიოდი ფრედ დაამთავრეს. დინამოელებს გამარჯვება და სასურველი ორი ქულა მესამე პერიოდში აქტიურმა თამაშმა მოუტანა. შეხვედრა დამთავრდა ქართველი წყალბურთელების გამარჯვებით 10:8 (2:2, 3:3, 4:2, 1:1).

სხვა ორი მატჩის შედეგი ასეთია: „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — —დინამო“ (კიევი) 14:11 (3:4, 2:2, 5:3, 4:2), „დინამო“ (ალმა-ათა) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 10:10 (3:0, 2:5, 4:3, 1:2).

ლვოვი. არც ამ ჯგუფის მატჩებში მომხდარა რაიმე მოულოდნელობა: ცსკ სსფ — „მოსკვიჩი“ 13:10 (4:3, 2:1, 4:4, 3:2), „ტორპედო“ (მოსკოვი) კწფ (სევასტოპოლი) 10:8 (3:3, 2:1, 1:3, 4:1), „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 8:15 (1:5, 4:1, 2:5, 1:4).

მხარს ვუჭერ!

ჯართლაც შესანიშნავი იდეაა ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივი პროფკავშირის შექმნა. ვეთანხმები ყველას, ვინც ფიქრობს, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. რაც დრო გადის, სულ უფრო აუცილებელი ხდება სპორტის მუშაკთა და სპორტსმენთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის ეფექტური სისტემის შექმნა. დარგობრივ პროფკავშირზე უკეთესი რაღა იქნება. ვიწონებ და მხარს ვუჭერ ამ შესანიშნავ წინადადებას.

შოთა ქველიაშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

ჯატიანე



კალათბურთის სამყარომ პირველად იგი ნეაპოლში გაიცნო, სადაც ევროპის პირველობა ტარდებოდა ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ზურაბ საკანდელიძე საბჭოთა ნაკრების მეორე ლიდერთან, კუნსელ მოდისტას პაულაუსკასთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ტურნირში მოგროვებულ ქულათა ნახევარზე მეტი გუნდს სწორედ ამ წყვილმა შესძინა. ეს მოხდა 1964 წელს.

ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე გომელსკიმ იგი ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ამერიკაში წაიყვანა. ახალგაზრდა, მზარდი ოსტატისთვის აუცილებელი იყო ამ ყველაზე პრესტიჟული საკალათბურთო აკადემიის გაკვეთილების მიღება. შტატებში ზურაბ საკანდელიძის თამაშს მწვრთნელმა ასეთი შეფასება მისცა: „იგი ამერიკელ მცველებს არ ჩამოუვარდებოდა არც ტექნიკით, არც ბურთის ტყორცნის სიზუსტით, სისწრაფეში კი სჯობდა კიდეც მათ“.

ასე იყო მერეც. ზურაბი გამორჩეული იყო ტექნიკითაც, ტაქტიკური აზროვნების უნარითაც, ტყორცნების სიზუსტითაც და უპირველეს ყოვლისა სისწრაფით. სწორედ ამ თვისებების ერთობლიობა იყო იმის მიზეზი, რომ ზურაბ საკანდელიძეს თითქმის ყველა პასუხსაგებ საერთაშორისო ტურნირსა და ჩემპიონატში გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა.

1967 წელს ფინეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იგი კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზეც საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, მაგრამ იუგოსლავიელებთან მარცხის გამო მხოლოდ ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

სამაგიეროდ, ოთხი წლის შემდეგ მიუნხენში იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და, რაც მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.

ზურაბ საკანდელიძე ყველა უმაღლესი საკალათბურთო ტიტულის მფლობელი გახლავთ: იყო საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (სხვა საერთაშორისო ტურნირებზე არაფერს ვამბობთ).

• • •

სურათზე: ზურაბ საკანდელიძე მისთვის ჩვეულ სათამაშო სიტუაციაში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

ნაადრევად, მაგრამ ვაჟკაცურად...

კაბინეტში ფორმიანი მამაკაცი ზის. მაღალი, ახოვანი სხეული მის სპორტულ წარსულს უსვამს ხაზს. მე ოგი არასოდეს მინახავს, მაგრამ რამდენიმე მილიციელს შორის მაინც ვიცანი — ჯიბილო ნიყარაძე.

„მე, როგორც სხვებს, რომ იტყვიან, აკვნიდან არ დამიწყია ჭიდაობა. ეს უფრო გვიან მოხდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. „წითელ არმიაში“, როგორც ახლა, მაშინაც არსებობდა „დედოვშჩინა“ და იქ რამდენიმე „ძმის“ გალახვა მომიწია. ერთი ისე სუფთად გადმოვიღე და ბეჭებზე დავდე, რომ თვითონაც გაუკვირდა. ჩვენმა ზემდგომა დამინახა და ამით „დამსაჯა“, რომ სასწრაფოდ არმიელ ძიუდოისტთა გუნდში ჩამრიცხა. აი, აქედან დაიწყო ჩემი სპორტული ცხოვრება. უნდა გამოგიტყდეთ, რომ სპორტის ეს სახეობა არც მომწონდა და, ბუნებრივია, მასზე არასოდეს შეფიქრა, კალათბურთი და ფრენბურთი მიყვარდა და ვთამაშობდი კიდეც.

შემდეგ, როდესაც ჯარიდან ჩამოვედი, სპორტსაზოგადოება „დინამოში“ დავწყე ვარჯიში...“

ჯიბილო ნიყარაძეს ასეთ პერიოდში მოუწია ხარბიელზე გაბოხვა, როდესაც ქუხდნენ ინაშვილის, ჩოჩიშვილის, ოდიშელიძის სახელები... მათ გვერდით თითქოს შეუძლებელი იყო საკუთარი თავის დამკვიდრება, მაგრამ ვინაც ნიყარაძე ტატამზე უნახავს, დამერწმუნება, რომ მას ჰქონდა სხვათაგან გამორჩეული „ხელწერა“.

„პირველი დიდი წარმატება საქართველოს ჩემპიონობა იყო. შემდეგ ნელ-ნელა მივდიოდი წინ. სერიოზული ჩავარდნა არასოდეს მქონია. სამჯერ ევროპის ჩემპიონი გავხდი. ორჯერ საბჭოთა კავშირის პირველობა მოვიგე. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიცა ვარ და, კიდევ რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

კველაზე მეტად რა დამამახსოვრდა? — ერთხელ კიშინიოვში ვართ სპარტაკიადაზე. 1975 წელია. მოხდა ისე, რომ ოქროს და ვერცხლის მედლები მოვიპოვე და თან გუნდს 54 ქულა შევძინე. მეორედ, თბილისში საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა. იაპონელთან მომიხდა შერკინება. წავაგე, ძლიერი იყო და წავაგე. ამის შემდეგ ჩემი მეგობრები დღემდე მეხუმრებიან: „ბიჭო, იაპონელთან როგორ შერცხვი“. 1977 წელს კი იაპონიაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე საკავშირო ნაკრები საქართველოს შეჯიბრებებში მართნი გავხდი. შემდეგ გაიმართა გუნდური პირველობა. მე რატომღაც მონაწილეობაზე უარი მითხრეს. ძალიან კი მინდოდა. საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბოლო დღეს შოთა ჩიტიშვილი გახდა ოვად და გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მისი ადგილი ჩემთვის შემოეთავაზებინა. ჩვენ ფრეც კი აღარას გვშველოდა. ვხედავთ, ფრანგ ბერტიას, მთელი ძალები დაეძაბე და წმინდად გავიმარჯვე, რის შემდეგაც გუნდიც ჩემპიონი გახდა. ორმაგად მიხარია...“

ჯიბილო ნიყარაძე „ლელოს“ რედაქციაში.

თბილისი. 1977 წელი. ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში ჯ. ნიყარაძემ (სურათზე მარჯვნივ) უძლიერესის სახელი მოიპოვა აბსოლუტური წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შორის.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

როგორც ხედავთ, სპორტში ბედიც ხშირად ძალიან ბევრს ნიშნავს.

„ამბობენ, სპორტსმენები ამტანი ხალხია. იქნებ ასეცაა, მაგრამ მე ვერ გავძელი, „სასამართლობას ვერ შევეგუე. ისე არ გამიგოთ, თითქოს გახსაკუთრებული ვიყო. არა, ყველა ადამიანს ცხოვრებაში თავისი გზა აქვს, უმრავლოდ, უნდა შეგვეძლოს სწორხაზოვნად და ბრმად არ ვიაროთ. სპორტული კარიერის ვაქაცურად, ადრე დასრულება სჯობია უსახელო წინსვლას“.

1979 წელს ჯიბილო ნიყარაძემ პროტესტის ნიშნად საერთოდ დატოვა სარბიელი. არადა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მას თავისუფლად შეეძლო კიდევ დიდხანს შერჩენოდა ტატამს და კვლავ ძველებურად, წარმატებით ეასპარეზა.

ისე წავიდა სპორტიდან, ბევრმა ვერც კი გაიგო. მიხთვის არც მხურვალე ოვაციები მოუწყვიათ და არც „ხუფრა გაუშლიათ. არც სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება აღირსებს. ამბობენ, 1975 წელს მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნილი სახელოები ყოვნდა, დღემდე არ მოგვიდიან(!).

ყოფილმა დინამოელმა ჩუდურეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში დიწყო მუშაობა. ოჯახს მოეკიდა. სამი შვილის მამაა. მისი ორი ვაჟი — გოჩა და მაშუკა, მამის კვალს მიჰყვება. დღეს ავტოინსპექციის კაპიტანი ჯიბილო ნიყარაძე ბატალიონის მეთაურია. ჩვენს დაძაბულ დროში ასეთი თანამდებობის კაცისათვის ყოველ წუთი ძვირფასია, მაგრამ ისი მთლად არ განდგომია სპორტს. მას ყოველთვის შეხვდებით საკვლევი დარბაზში. არც თბილისის საერთაშორისო ტურნირს დამკლებია...

„რომ კუუურებ ჩვენს ძიუდოისტებს, ნამდვილად კარგი ბიჭები არიან; ხახალეიშვილი, კერესანიძე, ხაბულიანი, ლგუბუაძე, ტოტოკაძვილი, მოდებაძე. შეიძლება, მათი იმედი გვქონდეს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღევანდელი სპორტსმენები ნაკლებ სტაბილურები არიან, ვიდრე ჩვენი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. ამას კი ამით ხსნიან, რომ ქართველი სპორტსმენები რეკორდს ნაკლებად იცავენ. გამ.ეგიტყდებით, რეკორდი არც ჩვენ ვიტკიცებდით მაინცა და მაინც თავს, მაგრამ ჩვენი მჯობი ბევრი არავინ იყო. ქართული ჭიდაობის ფანდები გვეხმარებოდა ტატამზე. თუ წინაპირობა მიერ დანატოვარ ამ განძს შრომისმოყვარეობას დავურთავთ, ჩვენი მომავალი არავინაა.

მაგრამ მარტო ეს არაა საკმარისი. აუცილებელია სოფლად იყოს ძლიერი სპორტული ცენტრები. სოფელში ერთი კარგი მოჭიდავე გამოჩნდება და უცებ ხელს სტაცებენ, თბილისში მოიმბენენენ. აქ, იცოცხლე მათ კარგი პირობები ხვდება, მაგრამ საერთო საქმეს ეს შველის?“

სპორტის სახახლეში შეხვედრა გამოაცხადეს. არადა, რა კარგი იქნებოდა, ისევ, როგორც სხვა სახეობებშია, ვეტერან ძიუდოისტთა შეხვედრებიც მოგვეწყო. ამით მაყურებელიცა და სპორტსმენებიც ალბათ უდიდეს სიამოვნებას მიიღებდნენ.

„შეიძლება ვინმეს ეს სასაცილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ მერწმუნეთ, კარგი იქნება. სპორტსმენი სპორტიდან ასალგაზრდა მიდის. ეს ძალიან მძიმე მოშორებაა ჩვენს ცხოვრებაში. ამით თითქოს ყველაფერს კარგავ, კარგავ შენს ცხოვრებას. მერე აღმოჩნდები სულ სხვა სამყაროში და ყველაფერს თავიდან იწყებ. ამ დროს კი შეიძლება ოცდახუთიმეტი წლისაც არა ხარ. სპორტსმენი, როგორც მსახიობი, მინდეოლია მაყურებელს, ოვაციებს, სახელს. ამას რომ ეთხოვები, რაღაც უკმარისობის გრძნობა გიჩნდება. ეს შეხვედრები კი ერთგვარად შეავსებს ჩვენს ცხოვრებას. გარდა ამისა, შეიძლება და აუცილებელიცაა მოვიწვიოთ უცხოელი სპორტსმენები, ჩვენი ყოფილი მეტოქეები“.

მართალია, ჯიბილო ნიყარაძე დიდი ხანია სპორტიდან წავიდა, მაგრამ გულშემატკივრებს ისევ ახსოვთ და ძველებურად უყვართ თავიანთი ფავორიტი. ამაში მაშინ დავრწმუნდით, როდესაც თბილისს მეხი სამაჩახლიში დაეჭრა ამბავი ელვის სასწრაფოთ მოვდა. რეკავდნენ რედაქციაშიც.

„— დღეს რაც სამაჩაბლოში ხდება, არც ერთი იურიდიული თუ „მორალურ კოდექსს არ ეჭვმლებარება. რითი უნდა გაამართლო, ან როგორ უნდა მიუტევო მას, ვინც სული ეშმაკს მიპყიდა. ქართველები არაერთხელ დავრწმუნდით ამაში, რომ არაფერია იმაზე საშიში და უგულური, ვიდრე უსასრულო და განუსჯელი მიმტევებლობა. ამიტომაც ალმოვნდით ზედმეტნი აქ, ჩვენი წინაპრების მიწაზე.

...ამ დღეს ჩემი რაზმით ცხინვალში ვიყავი. შენობაში ქალი კიკვლით შემოვარდა. გამოირკვა, რომ მამამისი გამეტებით ეცემოთ. მისი წამოყვანა უნდოდა საავადმყოფოში. მე, ეკიმი, ეს ქალი და რამდენიმე მილიციელი სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩავსხედით. სოფელ თამარაშენისაკენ დავიძარით. აქამდე მშვიდობით მივედით. ქალის მამა უკვე მკვდარი იყო. გვამი მანქანაში ჩავასვენეთ და, ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, სროლა აგვიტეხეს. არ ვიცი, რამდენი ისროდა. მანქანა სულ დაიცხრილა. ტყვია მიცვალებულსაც ესროლეს, ალბათ მკვდარი არ ეგონათ. მეც მაშინ დამჭრეს.

არადა, ჩემგან არ გესწავლებათ, წითელი ჯვარი საერთაშორისო სამართლით ხელშეუხებელია. წარმოიდგინეთ, ფაშისტებიც კი თავს იკავებდნენ ამგვარი საქციელისაგან, მაგრამ საბრალოდ ხომ უძლურია იქ, სადაც სიბნელე და განუკითხაობა სუფევს. სადაც მხოლოდ ძალა წყვეტს ყველაფერს და გულსა და გონებას ადგილი აღარ დარჩენია“...

როცა სამაჩაბლის ამბავზე მიუვიდოდა ბატონი ჯიბილო, ისევე ღელავდა, როგორც ალბათ იმ ინციდენტის დროს. და გავიფიქრე, რომ ჩვენთვის სამაჩაბლის ტრაგედია, ისე როგორც ყოველი ჩვენგანისთვის უმტკივნეულესი რეალობაა...

ბანანა სოხელია

მკითხველი — გაზეთი

ვერ გამიგია, ნოვი სადის საკადრაკო ოლიმპიადაზე რატომ მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალების გუნდს მეორე ადგილი, უნგრელებს კი პირველი, როდესაც მათ თანაბარი ქულები დააგროვეს, პირად შეხვედრაში კი ჩვენმა ქალებმა დაამარცხეს ისინი.

ლოგიკურის, რომ ორ მეტოქეს შორის თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირველესად ერთმანეთთან ჩატარებული შეხვედრის შედეგის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ და არა სხვა მეტოქეებთან მოპოვებული ქულებით.

პატივისცემით

დავით დაუშვილი

თბილისი.

ფიდე-ს წესებისა (მას თითქმის ემთხვევა „საკავშირო საშადრაკო კოდექსის“ 1989 წლის მე-12 გამოცემა. მეორე თავი, მეორე მუხლი) და მის საფუძველზე შედგენილი კონკრეტული შეჯიბრების დებულების თანახმად, შვეიცარიული სისტემის დროს, თუ მონაწილე გუნდებმა (ან მონაწილეებმა) თანაბარი ქულები დააგროვეს და ადგილები გაიყვეს, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს (ან მონაწილეს), რომელსაც ბუქჰოლცის სისტემის მიხედვით უკეთესი მაჩვენებელი ეჭნება...

ასე მოხდა საშადრაკო ოლიმპიადაზე ნოვი სადში საბჭოთა კავშირის გუნდსა და უნგრეთის ნაკრებს შორის, სადაც უნგრეთის ნაკრების შეტოქეთა მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობა ტოტი იყო, ვიდრე ჩვენი მოჭადრაკეების შეტოქეთა ქულები. ჩემპიონობა უნგრელებს სწორედ ამიტომ მიენიჭათ.

ევგენი ველიესლეთანეი,
საერთაშორისო არბიტრი.

ანეკდოტური იარაღით

აზიაზეთის პირველობაზე ბევრმეტური ინარადიან სროლაში ვაჟებს შორის უძლიერესი იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი ა. წულაია, გოგოებში ყველას აჯობა სოხუმის მეთორმეტე ქართული საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. ახალაძემ. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა. 1. სოხუმი, 2. ტყვარჩელი, 3. გაგრა.

თენგიზ პაპაკრიტა,
„ლელოს“ სპ. კორ.

სოხუმი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

„ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲚᲐᲡ ᲛᲘᲕᲒᲑᲐᲫᲝ“

ირლანდიის ნაკრების ცნობილი თავდაცმსმელი ჯონ ოლდრიჯი 32 წლისაა, მაგრამ ჯერჯერობით ენერგიითაა აღსავსე და მომავალი შეჯიბრებებისთვის ემზადება.

აი, რა განუცხადა მან ჟურნალისტებს:

„ასაკი დიდი დაბრკოლება როდია. ხომ ნახეთ, როგორ ითამაშა როკე მილამ მსოფლიო ჩემპიონატში!“

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲔᲕᲨᲘ

ინგლისელი ფეხბურთელი ფილ რობინსონი, რომელიც ახლა მეორე ლიგის კლუბ „ნოთს ქაუნთში“ გამოდის, თავს უდავოდ იღბლიან ფეხბურთელად თვლის. ორი წლის წინ იგი ცნობილ „ულვერჰემპტონ უონდერერსში“ გამოდიოდა. ეს გუნდი მეოთხედან მესამე, მერე კი მესამედან მეორე ლიგაში გადავიდა. შემდეგ იღბლიანმა ფეხბურთელმა დატოვა ქ. ულვერჰემპტონი და „ნოთს ქაუნთში“ ჩაირიცხა, რომელიც მესამე ლიგაში გამოდიოდა. პირველივე სეზონში „ნოთს ქაუნთი“ მეორე ლიგაში გადავიდა.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲙᲘ ᲣᲠᲩᲔᲕᲡ

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მწვრთნელს რ. ფალკაოს ურჩევს, ყურადღება მთლიანად ახალგაზრდებზე გაამახვილოს და 1991 წლის შეჯიბრებებში არ მოიწვიოს უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები.

ბრაზილიაში ამ წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია. ექსპერტების უმეტესობის აზრით, მარტო ახალგაზრდებით ფალკაო ვერაფერს გახდება და მას აშკარა მარცხისაკენ „უბიძგებენ“.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ

როგორც აშშ-ის ევროპული ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ალან როტენბერგმა განაცხადა, მან შექმნა 16 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომლის მიზანი გახლავთ ქვეყნის პირველობის ჩატარება პროფესიულ კლუბებს შორის.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ

გერმანიის ბუნდესლიგის 18 კლუბიდან შვიდში გუნდის კაპიტნები მენეჯერებს კი არ დაუნიშნავთ, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ თვით მოთამაშეებმა აირჩიეს დემოკრატიული წესით. აი ისინიც: მიხაელ ცორკი (ორტმუნდის „ბორუსია“), გვიდო, ბუსვალდი („შტუტგარტი“), დიტმარ ბაიერსდორფერი („ჰამბურგი“), შტეფან კუნცი („კაიზერსლაუტერნი“), ვოლფგანგ როლფი (იურდინგენის „ბაიერი“), კრისტიან ჰოპშტედტერი (მუნხენგლადბახის „ბორუსია“), დირკ გრაიხერი (ბერლინის „ჰერტა“).

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲣᲮᲚᲔᲜᲔᲑᲘ!

მარტინ ვასკესი, ესპანეთის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი, ახლა „ტორინოში“ თამაშობს. ამას წინათ, მას წამოუყენეს ცოტა არ იყოს, დაგვიანებული ბრალდება: ვასკესს გაუხსენეს, რომ 1981 წელს ბუენოს-აირესის ჯამბეკთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ყალბი საბუთებით ითამაშა — მისი დაბადების თარიღი აშკარად გადასწორებული იყო.

ᲐᲘ, ᲠᲐᲢᲛᲘ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲗ...

როცა ესპანურმა საფეხბურთო კლუბმა „ლოგრონესმა“ თავისი მეკარე, არგენტინის ნაკრების წევრი ლუის ისლასი გაათავისუფლა, მასთან ურთიერთობა არც სხვა გუნდებმა ისურვეს. რაშია საქმე? — ისლასი ხომ მაღალი კლასის მეკარეა!

როგორც გამოირკვა, ისლასზე ხელი იმიტომ აიღეს, რომ მან სასტიკად სცემა თავის ფეხმძიმე მეუღლეს, რომელიც, აკრძალვის მიუხედავად, მაინც დაესწრო მეკარის ტესტირების პროცედურას.

ᲑᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ: ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ, ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲭᲠᲘᲐᲮᲚᲝᲑᲐ

როგორც სპორტის არაერთი სახეობა, ბილიარდიც აზიაში, კერძოდ, ჩინეთში, „დაიბადა“, მაგრამ მალე იგი ევროპელთა თავშესაქცევად იქცა. იმდენად გაითავისეს ევროპელებმა ეს თამაში, იმდენად დაიახლოვეს, რომ დასავლეთელი სპორტული ჟურნალისტები ახლა იმისაც ამტკიცებენ, რომ ბილიარდი ჩინეთში კი არა, საფრანგეთში წარმოიშვა და ლუდოვიკო XIV-ის კარზე უპირველესი გასართობი იყოო. ასეა თუ ისე, ფაქტია, მწვანე მაუდგადაკრულმა მაგიდამ, რომელსაც პირველად XV საუკუნიდან იხსენიებდნენ ფრანგი ჯამთააღმწერელნი, მაგნიტივით მიიზიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დიდებულები და სულ მალე პრივილეგიური ფენის წარმომადგენელთა უსაყვარლესი თამაში გახდა.

რუსეთში ბილიარდი პეტრე პირველის მეფობის დროს გაიცნეს. საქართველოში კი ამ ერთი საუკუნის წინათ, ფეხბურთისა არ იყოს, ზღვით შემოაღწია და უმალ მოედო ბათუმის ბულვარს. მალე თბილისშიც ისწავლეს მისი თამაში და ომდროინდელ ქართველ ოფიცრებს დროის მოკვლის უკეთესი საშუალება არც ჰქონიათ.

თავდაპირველად, ბილიარდის მხოლოდ ერთი სათამაშო სახეობა იყო ცნობილი, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ამ კლასიკურმა სახეობამ „ინარა“ და ამჟამად ბილიარდის სხვა ნაირსახეობებიც არსებობს: პული, კენონი, სნუკერი, კარამბოლი, დიდი და მცირე პირამიდა, ციმბირული და ამერიკული — ე. წ. სიბირიაჩკა და ამერიკანკა. ჩვენში ბილიარდის მოყვარულები უმთავრესად ორ მათგანს იცნობენ — დიდ და პატარა პირამიდას. ეს სახელწოდება — პირამიდა, უკავშირდება თამაშის დასაწყისში მაგიდაზე ბურთულების განლაგების ფორმას.

სნუკერს და კარამბოლს, სხვა ნაირსახეობებისგან განსხვავებით, სჭირდება სპეციალური მაგიდა. აქ ლუზები უფრო დიდია, ხოლო ბურთულები, პირიქით — უფრო პატარა. სნუკერში კი ქულათა დათვლის სისტემაც განსხვავებულია.

ბილიარდი — როგორც ყველაფერი პოპულარული დასავლეთში — საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. იგი მიიჩნდათ ბურჟუაზიულ გადმონაშთად, სოციალისტური საზოგადოებისათვის მიუღებლად და შეურაცხმყოფელად. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ, უმოკლეს დროში, დახურეს ყველა საბილიარდო კლუბი, ოფიციალურად აიკრძალა ბილიარდის თამაში, თუმცა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიგებთ, ბილიარდი ბოლომდე მაინც არ იყო განდევნილი და თურმე თავად „რევოლუციის ბელადებიც“ ხშირად აიღებდნენ ხოლმე ხელში კიის-ბილიარდის სათამაშო ჯოხს.

დასავლეთში კი ბილიარდს შემთხვევით არ მოუპოვებია პოპულარობა, არამარტო სპორტული აზარტისთვის ეტანება მას ხალხი— განურჩევლად სქესის, ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა.

იქნებ დაუჯერებელიცაა, მაგრამ ფაქტია: დასავლეთში ბილიარდს ხშირად ჰადრაკსაც ადარებენ, კომბინაციური თამაშისა და ჩანაფიქრის განხორციელების ხერხების მრავალფეროვნებით. არსებობს ასეთი გამონათქვამი: „გამარჯვებისთვის საჭიროა არა ხელის ზუსტი მოძრაობა, არამედ ხელისა და გონების შეთანხმებული მოქმედება“. გარდა ამისა, ბილიარდი ჯანმრთელობისთვის მეტად სასარგებლოა. ამ თამაშში გატარებული 2 საათი (მაგიდის ირგვლივ მოძრაობა, გადაადგილება), იგივეა, — ადამიანმა 15 კილომეტრი დაფაროს ფეხით; სასარგებლოა აგრეთვე თვალებისა და ხელების გამუდმებული „მუშაობა“.

როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრები არაერთი გადაწყვეტილება, ბილიარდის აკრძალვაც მცდარი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ მალე ოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც გაიმარჯვა თბილისელმა გივი კობოსნაძემ, იპოდრომის დირექტორის მოადგილემ, ბილიარდის ცნობილმა ოსტატმა. სხვათა შორის, მონაწილეთა წახალისებისა და ბილიარდის კიდევ უფრო პოპულარიზაციის მიზნით, ტურნირში გამარჯვებულს მსუბუქი ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება ეძლეოდა. არც სხვა საპრიზო ადგილზე გასულთათვის იყო დაწესებული ნაკლებად სოლიდური პრიზები.

ვერის კალათბურთის სასახლეში ჩატარებულმა ამ შეჯიბრებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია: საქართველოს ყველა კუთხეში დაინტერესდნენ მივიწყებული ბილიარდით; რაც მთავარია, პრესამ და ტელევიზიამ ჯეროვანი რეკლამა გაუწიეს ტურნირს და ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელება იყო საქართველოს საბილიარდო სპორტის ასოციაციის ჩამოყალიბება. იგი 1990 წლის 8 თებერვალს დაფუძნდა. ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს ვანო ჭელიძე — ბილიარდის ძველი ოსტატი, მისი ფანატიკურად მოყვარული კაცი. ორი თვის შემდეგ ასოციაციის ეგიდით ჩატარდა



პირველი შეჯიბრება- — „საალდგომო ტურნირი“, რომელშიც 40-მა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა. აქ კი მოქნდაკვ გია ბურჭულაძემ იმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა.

მაგრამ მარტო შინაურ ჰიდლში ჩვენი მობილიარდეები, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდნენ საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენას. სერიოზული გამოცდის დროც მალე დადგა. შემოდგომით ბაქოში ჩატარდა კასპიის თასის გათამაშება, რომელშიც უძლიერესი ოსტატებით დაკომპლექტებული საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის ნაკრები მონაწილეობდა. საქართველოს გუნდი 4 კაცით იყო წარმოდგენილი ამ ტურნირზე — გია ბურჭულაძე, გია ბურჭულაძე, საქართველოს ნარდის პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული მოკლე ნარდში ემზარ ლაითაძე და როსტომ მაჩაიძე— ინჟინერი. არც საკავშირო სარბიელზე შეურცხვენია თავი ჩვენს ოთხეულს — არაერთი ლამაზი პარტიით მოხიბლეს ბაქოელი ბილიარდის მოყვარულები და როსტომ მაჩაიძემ მესამე საპრიზო ადგილიც დაიკავა. ჩემპიონი გახდა ფეხბურთის ქართველი მოყვარულებისათვის კარგად ცნობილი ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი, როსტოველი გივი ამფიმიადი; მეორე ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის ბილიარდის ფედერაციის თავმჯდომარემ მამედ მამედოვმა. თუ გავიხსენებთ, რომ ბაქოში შეკრებილნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „სიბირიაჩკაში“, რომელიც ჩვენში ნაკლებადაა განვითარებული და მას მხოლოდ არაპროფესიონალები თამაშობენ, ერთიორად საჩინო და მნიშვნელოვანი იქნება როსტომ მაჩაიძის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი.

ეს რაც შეეხება წარსულს. პერსპექტივა კი, როგორც საქართველოს საბილიარდო სპორტის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა სერგო ახვლედიანმა გვითხრა, მართლაც მომხიბლავია.

ასოციაციას განზრახული აქვს გაწევრიანდეს ბილიარდის საერთაშორისო ფედერაციებში —ევროპის საბილიარდო სპორტის კონფედერაციაში და მობილიარდეთა მსოფლიო კავშირში. სერიოზულად ფიქრობენ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას. თუმცა ამ საკითხების მოგვარება არც ისე იოლია. მით უმეტეს, ეს ორმაგად გაუჭირდება ახალფეხადგმულ ასოციაციას, რომელსაც არც ფულადი სახსრები გააჩნია, არც ელემენტარული ინვენტარი — მაგიდები, კიიები და ბურთულები, არც საბილიარდოები, რათა სპორტსმენებმა შეძლონ სისტემატური ვარჯიში ოსტატების სრულყოფა. ის კი არა, მუშტაიდის პარკში ძველი საბილიარდოც დაიხურა,

მოკლედ, იატაკქვეშეთიდან რის ვაი-ვაგლახით გამოსულმა ბილიარდმა ვერა და ვერ „გაილაღა“. მას კვლავ ემუქრება კონსპირაციულ მდგომარეობაში გადასვლის საფრთხე. ასოციაციის ხელმძღვანელები, იცოცხლეთ, ყველაფერს იღონებენ, რომ ეს ასე არ მოხდეს და კიდევ უფრო მყარად მოიკიდოს ფეხი ბილიარდმა საქართველოში, მაგრამ მარტოოდენ ენთუზიაზმითა და შიშველი ხელებით საქმე როდის გაკეთებულა?

ᲘᲕᲐᲜᲐ ᲪᲘᲮᲐᲓᲐᲘᲐ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓᲐᲐ

ფეხბურთში ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი შვედი ლარს ალელკვისტი დარწმუნებულია, რომ შვეცია ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეხვდება ამ მნიშვნელოვან მოვლენას. ვთავაზობთ მის ერთ ინტერვიუს მცირედი შემოკლებით.

● რა შეტივებით ხელმძღვანელობდა შვეცის საფეხბურთო ფედერაცია თავისი კანდიდატურის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლად წარდგენის დროს?

— პატარა ქვეყანამ, რაც შეიძლება ხშირად და ხშამაღლა უნდა გახაცხადოს ხოლმე საკუთარ თავზე. მივვიჩნია, რომ მარტოოდენ მუდმივად წინა პლანზე მდგომ დიდ სახელმწიფოებს როდი შესწევთ ამგვარი დიდი ტურნირების წარმატებით ჩატარების უნარი. გვსურს, მომავალი ჩემპიონატი შვეციაში ფეხბურთის შემდგომი განვითარების მიზნით გამოვიყენოთ, რადგან ეს თამაში დიდ კონკურენციის განიცდის სპორტის სხვა სახეობებისაგან. ჩვენ მატერიალურ დანაკარგებზეც კი თანახმა ვართ, სპორტის ამ პოპულარული სახეობის განსაკუთრებულად.

● ხომ არ იქონია რაიმე გავლენა „ევროპა-92“-ისთვის მზადებისას შვედების უხეირო გამოსვლამ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში?

— სრულიადაც არა.

● რა რაოდენობის პერსონალია დაკავებული ჩემპიონატის საორგანიზაციო სამუშაოებში?

— აქ, სტოკჰოლმში, მე ოთხი თანამშრომელი მყავს: გეტებორგში, მალმესა და ნორჩეპინგში, აგრეთვე, ჩემპიონატის მასპინძელ სხვა ქალაქებში შექმნილია ოპერატული ბიუროები, რომლებშიც ათ-ათი თანამშრომელია. გაისად შტატები გაორმაგდება, ხოლო ფინალის წინა პერიოდში გასამმაგდება.

● შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თქვენი ძირითადი საზრუნავი სტადიონების მომზადებაა.

— მაგალითად, სტოკჰოლმის „როსუნდის“ სტადიონს მხოლოდ მოდერნიზაცია სჭირდება — მას ჩინებული მოედანი, მორგებული ტრიბუნები და გასასვლელები, ორი საინფორმაციო ტაბლო, საუცხო საკონფერენციო დარბაზი აქვს. კარგ მდგომარეობაშია გეტებორგის სტადიონი, „ულევეი“, სადაც ჩემპიონატის ფინალური მატჩი უნდა გაიმართოს. თუმცა, სტოკჰოლმისა და მალმეს სტადიონებთან ერთად, მისი განახლებაც მოგვიწევს. დიდი ყურადღება ექცევა პრეს-ცენტრებისთვის შენობების აგებას, მათი განახლებაც სამუშაოებს. შვეცდებით, მუშაობის საუკეთესო პირობები შევუქმნათ ჟურნალისტებს, რომელთა საერთო რაოდენობა, ალბათ, ოთხი ათასს გადააჭარბებს.

● იქვენი აზრით, დიდი იქნება შვედების ინტერესი პირველობისადმი?

— მოველით სავსე სტადიონებს. თუმცა, სადღეისოდ ჩვენი ფეხბურთისადმი ინტერესი დიდი არ გახლავთ.

● ცნობილია, მოველით უცხოელ ტურისტებსაც. მაგრამ 1992 წლის შაფხულში, ევროპაში ხომ ბარსელონის ოლიმპიური თამაშებიც უნდა გაიმართოს?

— გაითვალისწინეთ, რომ ამ ოლიმპიადების ჩატარების თარიღები სხვადასხვაა, თანაც, ძალიან გვჭირდა ფეხბურთის მიმზიდველი ძალისა.

● როგორ დააცილებ და დაიზღვევთ ფეხბურთის სულიგანმიხაგან?

— ჩვენ ჩინებული პოლიცია გვყავს. ვიცით, რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, ამ პრობლემას თავს გავართმევთ.

● და მაინც, თუ გაქვთ პრობლემები „ევროპა 92“-ის მოსამზადებელ სამუშაოებში?

— ამჟამად არა. სიძნელეები, ალბათ, თავს იჩენენ უშუალოდ ჩემპიონატის მოსალოდნელთან ერთად. საყურადღებოა, რომ ჩვენ ახლებურ ბილეთებს დავბეჭდავთ,— მათ მაგნიტური საფარი და უნიკალური ნომრები ექნებათ, რაც მთლიანად გამორიცხავს ყალბი ბილეთების დამზადების შესაძლებლობას. ჩვენი ტურნირის ემბლემა კი ტრადიციულია და უეფა-მ უკვე დაამტკიცა იგი. ჩემპიონატის ბილოსმაა მობურთალი კურდღელი „ბერნი“. იგი შვეციის დროშის ცისფერ-ყვითელი ფერების ფორმაში იქნება გამოწყობილი.

მოამზადა ᲒᲔᲚᲐ ᲯᲘᲚᲐᲣᲠᲘᲐ.

ᲙᲠᲘᲘᲤᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲘᲡ ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი (კოობ) სიტუაციის ასე კრიტიკულად შემობრუნებას არ მოელოდა. ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ბარსელონის“ ხელმძღვანელობამ პირი გატეხა და ორგანიზატორებს აღარ აძლევს იჯარით მცირე სტადიონს და ორ საწვრთნელ მინდორს, რომელზეც ცხენოსანთა ტურნირის ჩატარება იყო ნავარაუდევი. ირადა, წინასწარი შეთანხმების თანახმად, კოობ-ს 2 მილიონი დოლარი უნდა გაეღო. ამ ბაზების რეკონსტრუქციისათვის.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ხოსე-მიგელ ამბადი აღშფოთებულია ამ „ვერაგული“ გადაწყვეტილებით და ყველაფერს „ბარსელონის“ ფეხბურთელთა კლუბის მწვრთნელს, იოჰან კრუიფს აბრალებს, რომელსაც არ სურს, თავისი ფეხბურთელები წვრთნის შეჩვეული რიტმიდან ამოაგდოს. ამბადის განცხადებით, საორგანიზაციო კომიტეტმა 1300 კონტრაქტს მოაწერა ხელი და არც ერთხელ არ შეხვედრია ასეთი უპირო პირტანიორები.

ეპვს იწვევს კიდევ ორი იჯარის საკითხი. კოობ-ს, როგორც ჩანს, ძნელი მოლაპარაკება ექნება „ნოუ კამპის“ სტადიონის (იტევს 105 ათას მაყურებელს) და „ბლაუგრანის“ სპორტის სასახლის ხელმძღვანელებთან, სადაც უნდა ჩატარდეს ფეხბურთელთა და ბალახის ჰოკეისტთა მატჩები.

„ბარსელონას“ კლუბის ხელმძღვანელებთან საბოლოო მოლაპარაკება 28 თებერვლისთვისაა დანიშნული.

სიახლემ წაიფორხილა...

გულს ნუ გაიტეხ, ამირან!

1982 წლის ნოემბრიდან ლანჩხუთის № 1 საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში ექსპერიმენტის სახით, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა საერთო ფიზიკური აქტივობის ამაღლება და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა, ყოველდღიურად ტარდებოდა ფიზკულტურის გაკვეთილები. ამან მკვეთრად გაუუჯობესა მომეცადინეთა ფიზიკური მომზადება. შეარჩიეს კარგი მონაცემების მოსწავლეები სპორტული ჯგუფების დასაკომპლექტებლად.

1 წლის შემდეგ სახალხო განათლების სამინისტროს მეთოდცენტრმა შეამოწმა და დადებითად შეაფასა ჯგუფების მუშაობა. კმაყოფილნი იყვნენ ბავშვებიც და მშობლებიც. ამ დროს კი № 1 საშუალო სკოლის დირექტორმა დაიფინა, ბავშვებისთვის სახიფათოა სკოლიდან სპორტსკოლამდე 60 მეტრის გავლა, რადგან ამ მონაკვეთზე საავტომობილო გზა გადისო. თან სკოლის დარბაზიდან სპორტსკოლის ინვენტარი გარეთ გამოიყარა, აქაოდა ცეკვის წრე იხსნებაო, დირექტორის შიში, ცხადია, უსაფუძვლო არ გახლავთ, მაგრამ ამ საქმის მოგვარებაზე ზრუნვა უფრო არ შეეფერებოდა პედაგოგს?

ექსპერიმენტის თაოსანს ამირან გოგუაძეს არ დაუკარგია ფარ-ხმალი და დღემდე აგრძელებს ბრძოლას, მაგრამ განა რა არის აქ საბრძოლი და საკამათო... თანხმობა, გულისხმიერება იყოს და...

გოჩა ვასაძე,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

გადაფიქრა...

შარშან, ივლისში, ნაიჯელ მენსელმა განაცხადა, რომ ხტოვებს რბოლებს, მაგრამ შემდეგ შეცვალა თავისი გადწყვეტილება. წელს იგი დაუბრუნდება „უილიამსს“, რომელიც „ფერარიში“ გადახასვლელად მიატოვა ამ ორი წლის წინ.

სტირლინგ მოსი, მსოფლიოს ოთხგზის ვიცე-ჩემპიონი, გაოცებულია ნაიჯელ მენსელის ამ გადწყვეტილებით. გთავაზობთ მის ზოგიერთ მოსაზრებას, რომელიც „სანდი ტაიმსში“ დაბეჭდა.

როცა მან განაცხადა, რომ მიდის „ფორმულა 1“ -დან, ვგავიცდი, რადგან ის ჯერ კიდევ მზად იყო ებრძოლა ჩემპიონობისთვის. მიუხედავად ამისა, ვიგრძენი, რომ ეს ნაიჯელის სწორი გადწყვეტილება იყო. თუმცა მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის ამის გაგება. მაინც რატომ გადაიფიქრა მენსელმა წასვლა?

იგი არ ყოფილა ბედნიერი „ფერარის“ გუნდში და არც ბევრჯერ გაუმარჯვია. გულახდილად რომ ვთქვა, ამაში ახალი არაფერია — ასეთი რამ ყველა დროის საუკეთესო ავტომრბოლს, არგენტინელ ფანხიოსაც კი დაემართა.

50-იანი წლების ბოლოს ენცო ფერარიმ შეშოშოავაზა 10 000 გირვანქა სტერლინგი კონტრაქტში, რომელიც მაშინ ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. რჩევისთვის ფახხიოს მივმართე. იგი ძალზე დაინტერესდა ამით, იცოდა, რომ „ფერარის“ გუნდი საუცხოოდ იყო აღჭურვილი. ვის ახსოვს ტექნიკურად გაუმართავ „ფერარის“ საჭესთან დაღუპული პილოტი? მაშინ ეს დიდი მიღწევა იყო. რა უნდა მექნა? დათანხმდი ფერარის, — მითხრა ფანხიომ — ოღონდ კონტრაქტი აწ გააფორმო! — ასეთი იყო ამ გონიერი კაცის უბრალო პასუხი, საბოლოოდ მაინც არ დავთანხმდი ფერარის წინადადებას, რადგან ჩემი მეგობრის რომ უოკერის გუნდში გამოვდიოდი.

ალენ პროსტის „ფერარიში“ მოსვლამ შეცვალა მენსელის საქმე. ნაიჯელი ელოდა ამას და, ვფიქრობ, ამან ძალზე იმოქმედა მასზე. რაც უნდა იყოს, ფრანგი პილოტი ჭკვიანი ავტომრბოლია და, თანაც, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. ნაიჯელს შეუმცირეს ხელფასი, რადგან არ სურდა რეგულარული ტესტირება, რაც პროსტის მიღებით ანაზღაურდა. მას უნდა სცოდნოდა, რომ ალენი საუკეთესო ტესტდრაივერია და ავტომობილები ყოველთვის მზადყოფნაში ჰყავს.

ყველა გრძობდა, რომ მხოლოდ პროსტს შეეძლო „ფერარის“ საჭესთან ჩემპიონატის მოგება. მე კი ვერ გავიგე, რატომ დაუხმარა მას მენსელი ისე, როგორც ფილ ჰილი — მაიკ ჰოუთორნს 1958 წელს. თუმცა, ძალზე ვამაყობდი ჰილის მოქმედებით. ეს სწორი გზა იყო. ჩემს დროს გუნდის ინტერესები უფრო მაღლა იდგა და, რაც მთავარია, ყველა ერთმანეთის მეგობარი იყო. ამას ხელს უწყობდა თვით გუნდის მეხეჯერეც. დასანანია, რომ პილოტებს შორის პატივისცემა აღარ არსებობს. მეტოქეები აუცილებლად მეგობრებიც უნდა იყვნენ.

ყოველთვის მაინტერესებდა ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი. ერთხელ როჯერ ბენსტერმა ერთი მილი ოთხ წუთში დაფარა, შემდეგ სხვებმა იგივე მანძილი უფრო სწრაფად გაიარეს.

მე ვამაყობ მენსელით, რადგან ის ძალზე ნიჭიერია, მაგრამ ცოტა უცნაური ხასიათისაა. იგი დაბადებული არაა ავტომრბოლად [illegible] კლარკის მსგავსად, უფრო [illegible] ჰილს წაგავს — სულ სხვაგვარ[illegible] მოქმედებს მაშინ, როცა შეუ[illegible] საუკეთესო სპეციალების მო[illegible]ბა ტრასებზე. მაგალითად, შარ[illegible] შეესიკაში იგი ტრასის ყოველ[illegible] ნაკვეთზე იბრძოდა და საუკეთეს[illegible] იყო, მაგრამ გერმანიასა და ბ[illegible]გიაში გამართულ რბოლებში [illegible]ზე ამას ვეღარ იტყოდით.

ადამიანში ყოველთვის „ავტ[illegible] რბოლის“ თვისება უფრო მომწ[illegible]ნდა, ვიდრე „მძღოლის“. ნაიჯ[illegible] მენსელი ზოგჯერ ნამდვილი ავ[illegible]



ნაიჯელ მენსელი

მრბოლია, მაგრამ, ასევე, ხშირად — მძღოლიც. სულ სხვაა იგი, როცა აღგზნებულია, ბრძოლის ველზე მესული. მაშინ მენსელი ისეთ ნიჭიერ პილოტებსაც ჯაბნის, როგორებიც არიან აირტონ სენა და ალენ პროსტი.

წელს ნაიჯელის თანაგუნდელი რიკარდო პატრეზეა და, ვფიქრობ, ამ ბრწყინვალე დუეტმა თავისი სიტყვა უნდა თქვას, თუ, რა თქმა უნდა, „უილიამს-რენო“ შეუწყობს ამას ხელს. დრომ გვიჩვენა, რომ მშვიდ სიტუაციაში მენსელს შეუძლია საუკეთესო იყოს. იგი ძალზე უშიშარია, მაგრამ, თუ მას მართლაც უნდოდა სპორტიდან წასვლა, მტკიცედ უნდა დაეცვა თავისი გადწყვეტილება“.

საინტერესო ბარათები:

სტირლინგ მოსი — დაიბადა 1929 წლის 17 სექტემბერს. დებიუტი: შვეიცარია, 1951 წელი. მოგება: 16; საკვალიფიკაციო: 16; 1954 წელი („მაზერატი“): მე-12 ადგილი; 1955 წელი („მერსედესი“): ერთი მოგება, ვიცე-ჩემპიონი; 1956 წელი („მაზერატი“). ორი მოგება, ვიცე-ჩემპიონი; 1957 წელი („მაზერატი“, „ვენუოლი“): სამი მოგება, ვიცე ჩემპიონი; 1958 წელი („კუპერ-კლაიმეკსი“, „ვენუოლი“). ოთხი მოგება, ვიცე-ჩემპიონი; 1959 წელი („კუპერ-კლაიმეკსი“, „ბეერ-უმი“): ორი მოგება, მესამე ადგილი; 1960 წელი („კუპერ-კლაიმეკსი“, „ლოტუს-კლაიმეკსი“): ორი მოგება, მესამე ადგილი; 1961 წელი („ლოტუს-კლაიმეკსი“): ორი მოგება, მესამე ადგილი.

ნაიჯელ მენსელი — დაიბადა 1954 წლის 8 აგვისტოს. დებიუტი: ავსტრია, 1980 წელი. მოგება: 16; საკვალიფიკაციო: 15; 1981 წელი („ლოტუსი“): მე-14 ადგილი; 1982 („ლოტუსი“): მე-14 ადგილი; 1983 („ლოტუსი“): მე-12 ადგილი; 1984 („ლოტუსი“): მე-9 ადგილი; 1985 („უილიამსი“): ორი მოგება, მეექვსე ადგილი; 1986 („უილიამსი“): ხუთი მოგება, ვიცე-ჩემპიონი; 1987 წელი („უილიამსი“): ექვსი მოგება, ვიცე-ჩემპიონი; 1988 წელი („უილიამსი“): მე-9 ადგილი; 1989 („ფერარი“): ორი მოგება, მეოთხე ადგილი: 1990 („ფერარი“): ერთი მოგება, მეხუთე ადგილი.

თარგმნა
დავით ჩუბინიძემ.



ლათინურამერიკული საგენტოს „პრენსა ლატინას“ ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად ბრაზილიელი ავტომრბოლი აირტონ სენა ამერიკის 1990 წლის საუკეთესო სპორტსმენადაა აღიარებული.

აირტონ სენამ, რომელმაც შარშან შეორედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი „ფორმულა-1“-ის კლასში, მიიღო 76 ბმა და პირველად გაიმარჯვა რეფერენდუმში, რომელსაც „პრენსა ლატინა“ უკვე 27 წელია ატარებს.

სურათებზე: აირტონ სენა; შეჯიბრების ტრასაზე.

საკვლევის ფოტოქრონიკა.



კალეიდოსკოპი

„მთავარია მაყურებლის მხარდაჭერა“

მსოფლიო ჩემპიონს ქვემძიმე წონაში („უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნის“ ვერსიით), ინგლისელ დენის ენდრიუსს საკმაოდ დიდი თანხა შესთავაზეს, თუ წოდებას თავის თანამემამულე ტომ კოლზთან დაიცავდა. ჩემპიონმა ცივი უარით გაისტუმრა ორგანიზატორები და თქვა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ისეთ მატჩში, სადაც დამსწრე საზოგადოება მის წინააღმდეგ იქნება განწყობილი.

— უცხოელ მეტოქეს თუ გამომიძებნით, — თქვა ენდრიუსმა — მაშინ აუცილებლად დავიცავ ჩემს წოდებას. მთავარია, მაყურებლის აბსოლუტური მხარდაჭერა.

ბერძნული კრიზი მოლონიერდა

როგორც გერმანიის კრივის ფედერაციის ერთ-ერთმა მესვეურმა ბირკლემ განაცხადა, ამ ორგანიზაციაში ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი მოკრივეების დიდი ჯგუფის შესვლა მისასალმებელი მოვლენაა.

ბირკლე მიიჩნევს, რომ გერმანულ კრივს საშუალება ეძლევა, დაიბრუნოს ის წამყვანი პოზიცია, რომელიც მას ადრე ჰქონდა.

ბაოფლიანდით, გაცდომა თუ გხურთ!

საინტერესო ფოტოსურათი გამოაქვეყნა პარიზის გაზეთმა „ეპიკმა“. საკმაოდ მსუქანი, 100 კილოგრამზე მეტი წონის ქალები სხვადასხვა ფიზიკურ ვარჯიშს ასრულებენ და ცდილობენ ცოტათი მაინც გახდნენ.

გაზეთის ცნობით, ეს კეთილშობილური საქმე ითავა პარიზში გახსნილმა სალონმა. მის ორგანიზატორებს შემუშავებული აქვთ სპეციალური სისტემა — ოფლის დენის საშუალებით წონის დაკლება.

შედეგმა არ დააყოვნა — პარიზში სულ უფრო მეტი ხდება იმ ქალთა რიცხვი, რომელთა წონა 100 კილოგრამს აღემატება.

„კოლუმბი-92“

1992 წლის აპრილში აფროსნები თავს მოიყრიან ბენუაში — ქრისტეფორე კოლუმბის სამშობლოში. ცოტა მოგვიანებით, 3 მაისს, ესპანეთის ქალაქ კადისიდან დაიწყება რეგატა — „კოლუმბი-92“.

პირველად ძველეფურები კანარის კუნძულებზე შეჩერდებიან, შემდეგ ატლანტის ოკეანეს გადასერავენ და კოსტა-რიკაში ჩამოხდებიან. რეგატის მონაწილეები ნიუ-იორკსაც ეწვევიან. მოგვიანებით ლივერპულშიც შეკრებენ და, ამრიგად, აგვისტოსთვის დაახლოებით 10 000 მილს დაფარავენ.

„ხალხე ხახლში დამამეიუდა“

სახელგანთქმული საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“, როგორც სტატისტიკა ადასტურებს, ევროპულ ტურნირებში უკანასკნელად 1985 წლის 30 მარტს დაშორებულა თავისთან შედარებით სუსტ „ვიდეოტონთან“, აი, რა გაიხსენა ამას წინათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა მეკარემ გარი ბეილმ, რომელიც ახლა ტელეკომენტატორად მუშაობს:

— ერთი სამხრეთამერიკული ჯადოქარი გამაცნეს. მან „მაგიური სალტე“ მაჩუქა — ატარე და სამი მნიშვნელოვანი მატჩის განმავლობაში გოლს არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებო. დალახვროს ეშმაკმა! სწორედ „ვიდეოტონთან“ თამაშის დღეს ეს სალტე სახლში დამავიწყდა!

ლემონდი—ველოსრბოლი და გოლფის ტრფიალი

რა პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს ველოსპორტს გოლფთან? — თითქოსდა არავითარი. ეს კი, რომ გამოჩენილი ველოსრბოლი გრეგ ლემონდი, რომელიც ყურნალმა „სპორტს ილუსტრეიდმა“ 1989 წელს აშშ-ის № 1 სპორტსმენად აღიარა და მრავალ კალათბურთელს, ქეტბურთელს, ჰოკეისტსა თუ ამერიკული ფეხბურთის ოსტატს ამჯობინა, ამავე დროს, გოლფის თავგამოდებული მოტრფიალეცაა.

არა, ლემონდს გოლფის მხოლოდ და მხოლოდ მოყვარულად ნუ მივიჩნევთ. 1990 წელს მან აშშ-ის გოლფის ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა პროფესიონალთა შორის, სადაც მისი პარტნიორი იყო ცნობილი გოლფისტი სევერიანო ბალესტეროსი. ლემონდმა განაცხადა, რომ გოლფის თამაშისას დატვირთვა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ველოსრბოლის დროს. ამასთან, მას ველოსპორტთან შედარებით, ის უპირატესობაც აქვს, რომ გოლფის პროფესიონალი მოთამაშის კარიერა გაცილებით უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე ველოსრბოლისა.



კალეიდოსკოპი



ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი № 2)

22 თებერვალი • შეხვედრა

ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა

„იბერია“ (თბილისი) — ბაკი (აბერდინი, შოტლანდია)

დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 22 თებერვალს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).
უამინდობის შემთხვევაში თამაში არ შედგება.

„ლელოს“ ღღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008 თბილისი, ს. კოტეტის, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „ნარეკვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის „ხალხის ხმის“ ბეჭდა. 380008, თბილისი, ს. კოტეტის, 14. ofsetური წესით, ნაგზეთი კორპუსში, ხიმშიაშვილის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20